ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 53

"20" თებერვალი 2024 წ.

ქ. თბილისი

მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. №22 (საკადასტრო კოდი: №01.14.03.040.373) არსებულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი"-ს (ს/ნ. 405204540) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. №22 (საკადასტრო კოდი: №01.14.03.040.373) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით გაცემული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი"-ს (ს/ნ. 405204540) მიერ შესრულებული ვალდებულების დადასტურების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 თებერვლის №24.249.288 განკარგულების საფუძველზე,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი"-ს (ს/ნ. 405204540) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. №22 (ს/კ. №01.14.03.040.373) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება №21.1611.1796; №22.1072.1159; 18.11.2021; 08.07.2021) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულებები №549, №342; 19.11.2021; 16.07.2022) ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი"-ს (ს/ნ. 405204540) მიერ შესასრულებელი ვალდებულება ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის გადახდის ნაწილში ჩაითვალოს შესრულებულად და ამავე განკარგულებებით (№549, №342; 19.11.2021; 16.07.2022) გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებები დარჩეს ძალაში.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე